პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲘ

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ორგანო

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲕᲘ Орган Казбегского райкома компартии грузии и райсовета депутатов трудящихся.

№ 24 (1533) ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1956 წ. ფ. 10 ᲙᲐᲞ.

ᲡᲐᲠᲐᲘᲝᲜᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲗᲑᲘᲡᲘ

ᲛᲐᲦᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲐᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ ᲡᲐᲙᲔᲓᲚᲘᲡᲒᲐᲖᲔᲗᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა ახალ ამოცანებს აყენებს მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელების წინაშე. იმისათვის, რომ ყრილობის გადაწყვეტილებანი ხორციელდებოდეს, პარტიის ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების მრძოლისუნარიანობის შემდგომ ამაღლებას, მის პარტიულ-ორგანიზაციულ განმტკიცებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, პროპაგანდისტულ და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლას მოსახლეობაში.

როგორც ცნობილია, პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში მთავარი ადგილი უკავია პრესას. პრესის საერთო ამოცანებიდან კონკრეტული დასკვნები უნდა გააკეთოს ძირეულმა პრესამ; იქ, სადაც პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს კარგად ესმით პროპაგანდისა და აგიტაციის ძალა საკედლისგაზეთო საქმიანობაც თავის დონეზეა დაყენებული.

ამჟამად ჩვენი რაიონის პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების უმრავლესობა მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ XX ყრილობის მასალების შესწავლას. ბევრი პროპაგანდისტი და აგიტატორი საინტერესოდ, გარკვევით და ცოცხლად მოუთხრობს მშრომელებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრებაზე. პარტიის ყველა ინ ლონისძიებებზე, რომლებიც ყრილობამ დასახა, მაგრამ ამ საერთო ფერხულიდან ჯერ კიდევ გათიშულია რაიონის ბევრი საკოლმეურნეო და წარმოება-დაწესებულებათა კედლის გაზეთების მუშაობა. როგორ აშუქებენ მთელ ამ საქმიანობას ჩვენი კედლის გაზეთები? უნდა ვთქვათ, რომ არასაკმაოდ.

სოფლის მეურნეობის რაისამმართველოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი თ. წიკლაური) იანვრის თვეში გაზეთი („მეცხოველეობის აღმავლობისაკენ", რედაქტორი ა. საბაური) ჩანს არ გამოუშვია, ხოლო თებერვლის თვის ნომერი მეტისმეტად ეხარისხო და მდარე წერილებითაა სავსე. გარდა ამისა აქ ფიქრობენ მარტის თვის ბოლო რიცხვებში გამოუშვან ამავე თვის ნომერი.

კედლის გაზეთის გამოცემაზე ჯერ კიდევ არ უფიქრია რაიკოოპერაციის გამგეობასთან არსებულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი ე. ხართიშვილი).

ამ ბოლო დროს მუშაობა გამოაცოცხლა ყაზბეგის საკოლმეურნეო კედლის გაზეთმა („კოლმეურნეს ხმა", რედაქტორი ვ. ქუშაშვილი). მაგრამ რედკოლეგიას დასჭირდება მეტი მუშაობა იმისათვის, რომ ყოველი წერილი გახადოს მოკლე, კონკრეტული, მკითხველისათვის საინტერესო. საკოლმეურნეო კედლის გაზეთმა ვრცლად უნდა ასახოს თავისი არტელის ცხოვრება, ის ვალდებულია დაეხმაროს კოლმეურნეებს კარგად გაერკვნენ XX ყრილობის მასალებში, გამოამზეუროს ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებები, იბრძოლოს კოლმეურნეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

რაიონის პირველადმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სერიოზულად უნდა მოკიდონ ხელი საკედლისგაზეთო საქმიანობის გამოცოცხლებას. ეს მათი სისხლხორცეული საქმეა.

ᲗᲔᲠᲒᲘᲡ ᲨᲔᲣᲪᲕᲐᲚᲔᲡ ᲙᲐᲚᲐᲪᲝᲢᲘ

თერგის ქვემო წელში, სტავიცა კარგალინსკაიას (გროზნის ოლქი) მახლობლად შენდება დიდი ჰიდროკვანძი, რომელიც უახლოეს წლებში უზრუნველყოფს თერგის დელტის 100 ათას ჰექტარზე მეტი მიწის მორწყვას. წყლის მიწოდების რეგულირებისათვის აქ სპეციალურად გათხრილ კალაპოტში აგებულია მძლავრი რკინა-ბეტონის კაშხალი.

ჰიდრომშენებლებმა დაამთავრეს მუშაობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი— გადახიდეს თერგის 140 მეტრიანი ძველი კალაპოტი. წყლის მთელი მასა ახლა ჰიდროკაშხალით. პირველი ჰაიხასი თვის ჰიდროკვანძი უნდა ჩადგეს მწყობრში. (ხაკადესი).

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐ

ამჟამად კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ის, რომ ორგანიზებულად, მაღალხარისხოვან დონეზე ჩატარდეს კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლა.

ვიდრე პრაქტიკულად ამ საქმის შესრულებას დავიწყებდით, კომკავშირის რაიკომმა სათანადო მუშაობა გაშალა პირველადს ორგანიზაციებში, აქ ტარდებოდა ლექციათ-სალაბრები კომკავშირის სახელოვან გზაზე, იმ ამოცანებზე, რომლებსაც ამჟამად მის წინაშე აყენებს მშობლიური პარტია.

დღეის რიცხვისათვის რაიონის თოთხმეტმა პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ მთლიანად გამოცვალა დოკუმენტები. 450-ზე მეტ კომკავშირელს ხელზე მიღებული აქვს ახალი ბილეთები.

ამ საქმეში კარგად იმუშავეს ყაზბეგის სასკოლო (მდივანი გ. ყურკუმელი), არშის სასკოლო (მდივანი მ. ხულელიძე), სნოს სასკოლო (მდივანი ნ. აქიაშვილი) კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

მ. ᲫᲐᲕᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

17 მარტს ყაზბეგის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოაწყვეს ისტორიის წრის მორიგი მეცადინეობა თემაზე: დიდი ჩინეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა. მოსსენება წაიკითხა X კლასის მოსწავლემ ნ. დავითაშვილმა.

საინტერესოდ წაკითხულ მოხსენებას ისმენდნენ. წრის მეცადინეობას ხელმძღვანელობდა მასწავლებელი ა. ხუციშვილი.

ნ. ᲤᲘᲪᲮᲔᲚᲐᲣᲠᲘ,
IX კლასის მოსწავლე.

ᲠᲔᲞᲔᲠᲢᲣᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ყაზბეგის კულტურის სახლთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედმა ანსამბლმა (ხელმძღვანელები ნ. თოფაძე და გ. ვალიშვილი) ჩვენს რესპუბლიკაში ნიჭიერი კოლექტივის სახელი მოიპოვა.

საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების მერვე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე რეპერტუარის საუკეთესო შესრულებისათვის როგორც ანსამბლი ისე თვითეული მისი წევრი დაჯილდოვდა მხატვრული თვითმოქმედების მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტისაგან საპატიო სიგელებით.

ანსამბლის წევრებს სიგელები გადაეცემათ უახლოეს დღეებში.

გ. ᲦᲣᲓᲣᲨᲐᲣᲠᲘ.

*

ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

საქართველოს კპ ყაზბეგის რაიკომის პარტიულ ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი. აქ გამოფენილია ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენება, ყრილობის მიერ მიღებული მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგების სიტყვათა ტექსტები, რომლებიც მოისმინა ყრილობამ.

აქვე არის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის სიტყვები, რომლებიც მათ წარმოთქვეს ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში მოგზაურობის დროს. ბიბლიოთეკამ მიიღო აგრეთვე ალბომები და სხვა ახალი ლიტერატურა, რომლებიც დაკავშირებულია გამოფენის თემასთან.

ძ. ᲙᲐᲖᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

*

ᲓᲠᲝᲨᲐ ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ

კომკავშირის ყაზბეგის რაიკომმა უნგრელი პიონერებისაგან მიიღო „მადლობის აღმნიშვნელი დროშა", რომელიც გამოგზავნილია უნგრეთის განთავისუფლების ათი წლისთავის აღსანიშნავად.

უნგრელი პიონერების ეს საჩუქარი საზეიმო ვითარებაში გადაეცემა რაიონის საუკეთესო პიონერულ რაზმეულს. ჩვენი რაიონის პიონერები საპასუხო წერილს მისწერენ თავიანთ უნგრელ მეგობრებს.

თ. ᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲓᲐᲠᲘᲐᲚᲙᲘᲡᲖᲔ

ᲒᲣᲨᲘᲜ პარტრაიკომის სხდომათა დარბაზში ჩატარდა ლექცია თემაზე „დარიალის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა". ლექციას,—რომელიც წაიკითხა ინჟინერმა დავით საყვარელიძემ, დიდძალი მსმენელი დაესწრო,

ლექტორს მსმენელებმა მრავალი შეკითხვა მისცეს.

რ. ᲤᲘᲪᲮᲔᲚᲐᲣᲠᲘ.

ᲡᲐᲠᲐᲘᲝᲜᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

თითქმის ყოველ საღამოს ჩვენი ბიბლიოთეკა მკითხველებითაა სავსე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ყველას აინტერესებს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლა, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გაცნობა.

გარდა იმისა, რომ ხმამაღალი მკითხველები ე. აქიაშვილი, თ. წიკლაური, ი. ქავთარაშვილი, გ. ფიცხელაური და სხვები ჟურნალ-გაზეთებს ხშირად უკითხავენ კოლმეურნეებს, განუმარტავენ მათთვის საინტერესო საკითხებს, ამავე დროს ვატარებთ ლექციებსაც, ვაწყობთ თემატურ გამოფენებს, მაგალითად, ამ დღეებში მკითხველების თხოვნით საერთაშორისო თემაზე ლექცია მოამზადა და ჩაატარა პარტრაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტმა ამხ. ვ. წიკლაურმა. ახლახან მოვაწყვეთ გამოფენა თემაზე: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა. აქ წარმოდგენილია ყველა ის ჟურნალ-გაზეთები, ბროშურები, რომლებიც ასახავენ ამ ყრილობის მთელ მუშაობას.

სარაიონო ბიბლიოთეკაში ამ მხრივ საქმე ისე უნდა მოეწყოთ რომ ყრილობის მასალების პროპაგანდა ყოველთვის სწარმოებდეს.

ნ. ᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ბიბლიოთეკარი.

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲐ

მერვე კლასის მოსწავლე ნათელა სუჯაშვილი პირველი კლასიდან დღემდე ინარჩუნებს ფრიადოსანის სახელს. ნათელა ამას აღწევს სისტემატური მეცადინეობით. სწავლაში წარმატების მოსაპოვებლად მას შექმნილი აქვს ნორმალური პირობები. შინ მოწყობილი აქვს მეცადინეობისათვის ცალკე კუთხე, შეადგინა დღის რეჟიმიც, რომელსაც ასრულებს კიდეც.

ნ. სუჯაშვილი თავისი ქცევით გამოირჩევა. იგი დისციპლინიანი და ენერგიულია. აქტიურად მონაწილეობს როგორც კომკავშირულ ისე პიონერულ მუშაობაში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სასწავლო წელს არა საპატიო მიზეზით არ გაუცდენია არც ერთი გაკვეთილი.

ნ. სუჯაშვილი.

* *

ფრიადოსანი მოსწავლე ნ. სუჯაშვილი ამჟამად კლასის მამასახლისადაა არჩეული. გარდა იმისა, რომ იგი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, თანაკლასელებს ხშირად უკითხავს ჟურნალ-გაზეთებსაც.

იმისათვის, რომ სასწავლებელში მოსწავლემ კარგი ავტორიტეტი და სიყვარული მოიპოვოს, მარტო იმას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ თვითონ იყოს ფრიადოსანი, არამედ სხვებსაც უნდა ეხმარებოდეს გაკვეთილების მომზადებაში, გაურკვეველი საკითხების ახსნაში და სხვა. თავისი ამხანაგებისადმი ეს ნამდვილად კარგი გრძნობა აქვს ნათელას. არა ერთხელ დახმარებია იგი თანაკლასელებს ამოცანებისა თუ მაგალითების ამოხსნაში, სხვა საგნების მომზადებაში.

ნათელა სუჯაშვილის აკადემიური მოსწრება და დისციპლინიანობა ყველა მოსწავლისათვის მისაბაძია.

ბ. ᲙᲣᲠᲙᲣᲛᲔᲚᲘ.
მასწავლებელი.

ყურადღება მივაქციოთ ისტორიულ ძეგლებს

დარიალჰესის მომავალ მშენებლობასთან დაკავშირებით თერგისა და სნოს წყლის ხეობების ნაწილში გაკეთდება ხელოვნური საგუბარი, რის გამო ზოგიერთი სოფლის ტერიტორიას წყალი დაფარავს. წყალქვეშ მოჰყვება აქ არსებული ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები, რომლებსაც გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ და ამავე დროს დღემდე შეუსწავლელნი არიან.

ვიდრე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყება, ყურადღება უნდა მივაქციოთ ფანშეტის ქვაყუთი სამარხებისა და აკლდამების გათხრას; ასევე ითქმის სნოს ციხის, სამარავანას (ძველი ნასახლარი ადგილია) და სხვა იქ არსებული სამლოცველო ნიშების, ეკლესიის მიდამოების შესახებ.

სოფელ ყაზბეგის ტერიტორია ცნობილია უძველესი ნამარხებით, საკულტო ნაშთებით და იქ აღმოჩენილი უნიკალური სამკაულებით. ამიტომაც მიწის სამუშაოების შესრულების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაეწიოს ამ მხარეს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ არშის ციხეს. აქ არის მრავალი გამოქვაბული. აქ 1937 წელს ჩემს მიერ ნაპოვნი იქნა კერამიკის მრავალი ნაშთი, ატკეცილი ტექნიკით დამუშავებული კაჟისა და ობსიდიანის (ვულკანური მინა) მცირე ზომის ორი საპრისი.

ყველა ეს ფაქტი იმას ნიშნავს, რომ მომავალ სამუშაოთა დაწყებისას მხედველობიდან არ გამოგვრჩეს არქეოლოგიური სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, რადგან რაიონის ტერიტორიაზე საგულისხმო და საინტერესო ისტორიულ ნივთებს ვხვდებით. არის მთავრობის დადგენილება, რომ არქეოლოგიური გათხრები იწარმოებს იმ ორგანიზაციის ხარჯზე, რომელიც ამ ტერიტორიაზე სამუშაოებს ასრულებს. ეს კი მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს.

არჩილ კობაიძე,
ალ. ყაზბეგის სახელობის სიონის ს. შუალო სკოლის დირექტორი.



ყირიმის ოლქი. ამას წინათ იალტაში გაიხსნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ახალი სანატორიუმი „ბოლშევიკი". აქვე ახლოს არის დასაძინებელი ოთახები, სამკურნალო და სხვა შენობები, მოწყობილია გადახურული ბაღი. ზამთრის დროს—ეს ერთ-ერთი საყვარელი ადგილთაგანია დამსვენებლებისათვის.

სურათზე: გადახურული ბაღის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო გ. ბოროდინისა. საკადესის ფოტოქრონიკა.

ერთი ლეგენდის ისტორია

ჩელიაბინსკის ოლქის რაიონულ ცენტრ ვარნას მახლობლად, ტბა ბოლშოე კისეგნეს სანაპიროზე დგას ძველისძველი კოშკი.

ადგილობრივი მცხოვრებლები თაობიდან თაობას გადასცემენ ლეგენდას ამ კოშკის შესახებ.

...მე-14 საუკუნეში მონღოლეთის მხედართმთავარმა ტამერლანმა შეიპყრო ბევრი ტყვე. მათ შორის იყო თათრების ხანის შვილი, რომელიც გამოირჩეოდა უჩვეულო სიმამაცითა და სილამაზით.

ტამერლანმა ბრძანა ახალგაზრდას შებოჭვა და ღრმა ორმოში ჩასმა.

ცნობა არაჩვეულებრივი ახალგაზრდას შესახებ გავრცელდა ყველგან. მის შესახებ გაიგო ტამერლანის ასულმაც. მან გადადო თავი და გაბედა ორმომდის მისვლა.

ახალგაზრდა ვაჟმა და ქალიშვილმა მხურვალედ შეიყვარეს ერთმანეთი და გადაწყვიტეს გაქცეულიყვნენ ოქროს ურდოში, რომელიც დაბანაკებული იყო მდინარე ტობოლის სანაპიროზე.

ძოისყიდეს რა დარაჯები, ისინი გაიქცნენ ორმოდან. რამდენიმე ხანს იარეს ყანებში დამალვით. ბოლოს კისეგნეს ტბის სანაპიროზე გაჩერებულ ბმა მოაწყვეს თავშესაფარი. ასდგეს და გაემართა სანადიროდ. დასვენებისას მან საყვარელი ქალი მიგვიყვანა; იგი გაფატრა ველურმა ტაბლის.

გაიგო რა ტამერლანმა ქალიშვილის სიკვდილი, ბრძანა მისი ფიცარ-ვის ადგილზე აეშენებინათ კოშკი-მავზოლეი.

სწავლული-ისტორიკოსები დაინტერესდნენ კოშკით. 1889 წელს ფრ. რომოეს გათხრები.

ქვის იატაკის ქვეშ იპოვეს ხის ფიცარი, რომელშიც შემოხვეული ქალის ჩონჩხი, აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერ-ოქროს საყურები ზურმუხტებით ... ლალის თვლებით, ორი ოქროს ... თითეო არაბული მომწვანო-მოყავისფერო ქვებით.

გათხრებმა გვიჩვენეს, რომ ლეგენდას საფუძველად უდევს შესაძლებელი რეალური ფაქტი.

ვ. კოტაშვილი.

ლიტერატურის წრეში

ამ დღეებში რაიბიბლიოთეკასთან არსებულმა ლიტერატურის წრემ გამართა მორიგი მეცადინეობა. წრის წევრმა გენო კობიძემ წაიკითხა რეფერატი თემაზე: ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი".

მომხსენებელს მსმენელებმა მისცეს მრავალი შეკითხვა.

ეკ. აქიაშვილი.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომთა გამოცემები

მრავალმილიონიანი ტირაჟით გამოდის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომები. XIX ყრილობის შემდეგ პერიოდში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომები საბჭოთა კავშირში გამოიცა 2432-ჯერ. ამ წიგნების საერთო ტირაჟი უკანასკნელი სამი წლის მანძილზე შეადგენს 100 მილიონამდე ეგზემპლარს. მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში გაგრძელებული იქნება მარქსისა და ენგელსის მეორე, 30-ტომიანი თხზულებათა გამოცემა. მისი ტირაჟია—200 ათასი ეგზემპლარი.

გაზეთები საბჭოთა კავშირში

1955 წლის ბოლოსათვის საბჭოთა კავშირში გამოდიოდა 7231 გაზეთი 48.400 ათასი ეგზემპლარით (1952 წელს გამოდიოდა 41.670 ათასი). მათ შორის—18 ცენტრალური, 148 რესპუბლიკური, 305 სამხარეო, საოლქო და საოკრუგო. 85 გაზეთი გამოდის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში. ჩვენს ქვეყანაში საქალაქო და რაიონული გაზეთებია-4845, მათი ტირაჟიანი—1830.

საბჭოთა კავშირში გაზეთები გამოდის 57 ენაზე.

მილიარდი წიგნი

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ათი ათასი სახელწოდების წიგნი გამოიცა. 1955 წელს ცენტრალურმა და ადგილობრივმა მომცემლობებმა გამოუშვეს 52.357 სახელწოდების წიგნი.

1952 წელს წიგნების საერთო ტირაჟმა შეადგინა 851 მილიონ ეგზემპლარი. გასულ წელს ამ მაჩვენებელი უზარმაზარი გახდა — 1 [illegible] ათასი ეგზემპლარი.

ეს გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლიანი გეგმით

თერგი ჩადგება ადამიანის სამსახურში

დავით საუვარელიძე

როგორც უკვე ცნობილია, დარიალის ხეობაში აშენდება საქართველოში ყველაზე ძლავრი ჰიდროელექტროსადგური. მდინარე თერგი წარმოადგენს ერთერთ ყველაზე მძლავრ მდინარეს ენერგეტიკული თვალსაზრისით, რომლის რესურსები შეადგენს 4 მილიარდ კილოვატსაათს. აქედან გამოყენებულია მხოლოდ 250 მილიონი კილოვატსაათი. თერგი დარიალის ხეობაში ყოველ ერთ კილომეტრზე გვაძლევს 12 ათას კილოვატსაათს. ეს არის უნიკალური სიმძლავრე წნევისა და ხარჯის შედარებისათვის. ამიტომაც აქ ელექტროსადგურის აშენება ბევრს უფიქრია. ჯერ კიდევ 1908 წელს ინჟინერ კუჩინსკის მიერ შედგენილი იყო სქემა მდინარე თერგის ენერგეტიკული გამოყენების შესახებ. 1910 წელს ვინმე ინგლისელი სტიუარტის მიერ შედგენილი იყო ესკიზური პროექტი ამავე თვალსაზრისით. მისი პროექტით კაშხალი უნდა აშენებულიყო სოფელ ცდოსთან ხოლო სადგური კი სოფელ ზემოლარსთან.

დარიალში სადგურის აშენებამ საბჭოთა ინჟინრების სათანადო ყურადღება მიიქცია. 1930 წელს ჩრდილო კავკასიის ენერგეტიკულმა სამმართველომ შეადგინა თერგის ენერგეტიკული გამოყენების სქემა. ამის შემდეგ კიდევ ქნა ედგენილი პროექტები სხვადასხვა ვარიანტით. 1953 წელს უკვე ქართველი ინჟინრები აპროექტებენ დარიალში სადგურის აშენებას. ამ პროექტის მიხედვით ელექტროსადგურისათვის გამოყენებული იქნება მდინარე თერგის 22 კილომეტრ-მდე სიგრძე, სოფელ არშიდან ლარსამდე. ეს ტერიტორია ზღვის დონედან მდებარეობს 794 მეტრიდან 1124 მეტრამდე, რაც იძლევა 680 მეტრ დაწნევას.

სათავე კვანძი იქნება ყაზბეგის მიდამოებში. აქ აიგება 75 მეტრის სიმაღლის მიწის კაშხალი, რომლის სიგრძე 872, ხოლო სიგანე ფუძეში იქნება 576 მეტრი. კაშხალის სიმაღლე ზღვის დონედან იქნება 1797, ხოლო მდინარის ფსკერიდან 75,5 მეტრი. მის ზღურბლზე გაყვანილი იქნება გზა, ამიტომ მისი სიგანე 11 მეტრი იქნება. კაშხალის ის მხარე, რომელიც მდინარისაკენ იქნება მოქცეული დაიფარება ორი მეტრის სისქის ნაყარი ქვით, რაც მდინარის ტალღებისაგან დაიფარავს მიწის კაშხალს. მარტო წყალსაცავი დაიკავებს 10,25 კვადრატულ კილომეტრს. ამ ადგილებიდან გადასახლდება 500-მდე კომლი და გადაიტანება საქართველოს სამხედრო გზა. ოაც დაჯდება 85 მილიონი მანეთი.

დარიალჰესი წელიწადში იმაზე მეტ ელექტროენერგიას მოგვცემს რასაც ამჟამად იძლევიან საქართველოს ყველა ელექტროსადგურები ერთად აღებული. მდინარე თერგზე ახალი სადგურის აშენებით შეიქმნება ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს ელექტროსადგურების ერთიანი სისტემა, რასაც დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს.

ოდნავი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ აღნიშნული მშენებლობის მასშტაბზე, შევჩერდეთ ციფრობრივ მონაცემებზე.

ყაზბეგის რაიონში მოვა და დასახლდება 15.300 კაცი. მათთვის უნდა აშენდეს 63.600 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი ბინები, ეს მშენებლობაც ძირითადად სოფელ ყაზბეგში იწარმოებს. ელექტროსადგურის სამუშაოებზე ყოველდღიურად იმუშავებს 8500 კაცი. გამოყენებული იქნება 860-მდე ავტომანქანა, აქედან თითქმის ნახევარი ოცდახუთტონიანი თვითმცლელი იქნება. მათი საერთო ტვირთამწეობა 6434 ტონას მიაღწევს. აქ იმუშავებს 50 მძლავრი ექსკავატორი, 90 ცალი ელმავალი და დიზელი; შესრულებული იქნება მიწის, კლდის, ცემენტისა და რკინაბეტონის უზარმაზარი სამუშაოები. ასე მაგალითად: ამოღებული უნდა იქნას 10.500 ათასი კუბური მეტრი მიწა. მარტო კაშხალის მიწაყრილის მოცულობა მიაღწევს 6.500 ათას კუბურ მეტრს; რკინაბეტონის სამუშაოები იქნება 290 ათასი კუბური მეტრი, მარტო ცემენტი უნდა დაიხარჯოს 200 ათასი ტონა, 280 ათასი კუბური მეტრი ხეტყის მასალა და სხვა.

დარიალის ხეობაში მდინარე თერგზე ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა უნდა დამთავრდეს ამ ხუთწლედში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წყალსაცავში უნდა მოშენდეს თევზი. ამასთან დაკავშირებით რაიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს თევზის ჭერა, აგებდება თევზის გადამამუშავებელი ქარხანა.

წყალსაცავი ხელს შეუწყობს მის გარშემო მდებარე მინდვრების, სათიბ საძოვრების მორწყვას ან სინოტივის უზრუნველყოფას. ე.ი. ის ადგილები, ოომლებიც წინათ სათიბად ანდა საძოვრად გამოიყენებოდა, უყეხებელი იყო, მშენებლობის დამთავრების შემდეგ გამოყენებული იქნება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XX ყრილობამ წინ გადადგმული ახალი ნაბიჯია კომუნიზმისაკენ. ამ სანატრელი მიზნის მიღწევის საქმეში თავიანთ წვლილს შეიტანენ დარიალჰესის მომავალი მშენებლები.

საბჭოთა ადამიანის ნებისყოფა ხალხის სამსახურში ჩაყენებს „ობოქარ თერგს. ... რიალიდან იაფსა და ძვირფასი ელექტროენერგიას მიიღებს ჩვენი ქვეყნის მრავალი რაიონი.

რედაქტორის მაგიერ
შ. ხეთაგური.

ყაზბეგი გაზეთ „ახალი ხევი"-ს სტამბა ტირაჟი 1100